

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ლევან შელია
თანამდებობის დასახელება- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.
ფრაქციის დასახელება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისიის(ებ)ის დასახელება - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარი, წალენჯიხის N68.17 და N68.27 საჩინოს საარჩევნო უბნები.

საანგარიშო პერიოდი-2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა- 22
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 21

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _34
კომისიის სხდომებზე დასწრება _ 33

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 10
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -7

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018–2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

გ)მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018-2022წწ.)განხილვის შესახებ.

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;

ე)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ვ)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

თ)„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“

ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;

- კ) წალენჯიხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ;
- ლ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;
- მ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე;
- ნ) „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;
- ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;
- პ) პეტიციები სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა-10

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 550.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. გაზიფიცირება, ინტერნეტიზაცია, დასაქმება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

დასრულდა საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ.ინწირაზე დაკიდული სამანქანე ხიდის მშენებლობა და გზის პირას ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა. მოეწყო მდ. ჭანისწყალზე და მდინარე ნოჟალაზე ამბულატორიასთან ნაპირსამაგრი გაბიონი. ასევე მოეწყო ზ. შელიას სახლთან ხიდ-ბოგირი. განხორციელდა საბავშვო ბაღის (კუხუშის) სახურავის სრული რეაბილიტაცია. მოხდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასახური მასალის შექმნა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
აქტიურად ვარ ჩართული სკრებულოს კომისიის მუშაობაში, კომისიის სხდომებზე განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში. რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი ფრაქციისა და საკრებულოს წინაშე.

შევსებისთარიღი-31.10.2018 წ.

წარდგენისთარიღი _31.10.2018 წ.

ხელისმოწერა

